ხელშეკრულება № 09/07/15

სახელმწიფო გამარტივებულიშესყიდვის შესახებ

ქ.წალკა 9ივლისი2015 წელი

ერთის მხრივ **შპს„წალკაგაზი”**(შემდგომში-შემსყიდველი),მისი დირექტორის ვალერიან ბექურის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ბი ემ სი”** (შემდგომში მიმწოდებელი), სახით, ვხემძვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებეის სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ასრულებს ხელშეკრულებით ნაკის ვალდებულებეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ხელშეკრულების საგანია ორგანიზაციის(წალკაგაზის)საკუთარი სახსრებით სამშენებლო სამონტაჟო საქონლის შესყიდვა,წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვით.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **491.90(ოთხასოთხმოცდათერთმეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი)**ლარს.

3.3.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთანდაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1.მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2.მიმწოდებელი მიწოდებულ საქონელზე იძლივა გარანტიას 1წელს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელიშემსყიდველის მიერ თანხის გადახდის შემდეგ.

5.2. მიწოდების ადგილიაქ.წალკა

5.3. მიწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებულისაქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015წლის 30 ივლისისჩათვლით, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად.

5.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

6. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებით (მიღება-ჩაბარების აქტი, ან შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი), შემსყიდველისა და მიმწოდებელის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებულიმიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

7.3. მიღება- ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი საჭიროების შემთხვევაში ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი;

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

-მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

შემსყიდველი _____ მიმწოდებელი _____

9.5. ხელშეკრულებაასევეშეიძლებაშეწყდესმხარეთაინიციატივით, ურთიერთშეთანხმებისსაფუძველზე.

9.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

10.1.ხელშეკრულებაშინებისმიერიცვლილების, დამატებისშეტანაშესაძლებელიამხოლოდწერილობითიფორმით, მხარეთაშეთანხმებისსაფუძველზე.

10.2.ხელშეკრულებისპირობების, მათშორის, ფასისშეცვლადაუშვებელია.

10.3ხელშეკრულებისერთ-ერთიმხარისმიერხელშეკრულებისპირობებისშეუსრულებლობისშემთხვევაშიმეორემხარეუფლებამოსილია ცალმხრივადმიიღოსგადაწყვეტილებახელშეკრულებისშეწყვეტისშესახებ.

10.4ხელშეკრულებაასევეშეიძლებაშეწყდესმხარეთაინიციატივით, ურთიერთშეთანხმებისსაფუძველზე.

10.5. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებითმოაგვარონყველაუთანხმოებადადავა,წარმოქმნილიმათშორისხელშეკრულებისანმასთანდაკავშირებულისხვაკომპონენტისირგვლივ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1ხელშეკრულება ძალაშია მისი დადების (გაფორმების) დღიდან 2015 წლის30ივლისის ჩათვლით.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხისშეთანხმებითმოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესისმიხედვითმიმართოსსაქართველოსსასამართლოს.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულებისპირობებისანრომელიმემათგანისმოქმედებისშეჩერებაფორს-მაჟორულიგარემოებებისდადგომისგამოარიქნებაგანხილულიროგორცხელშეკრულებისპირობებისშეუსრულებლობაანდარღვევადაარგამოიწვევსსაჯარიმოსანქციებისგამოყენებას;

13.2. ამმუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავდამათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისადა/ანმიმწოდებლისშეცდომებსადადაუდევრობასთანდარომლებსაცგააჩნია წინასწარგაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთიგარემოებაშეიძლებაგამოწვეულიქნესომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით,საბიუჯეტოასიგნებისმკვეთრიშემცირებითდასხვა.

შემსყიდველი _____ მიმწოდებლი _____

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაცშეუძლებელი ხდება ნაკისრივალდებულებებისშესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოსმეორემხარესწერილობითშეტყობინებაასეთიგარემოებებისდამათიგამომწვევიმიზეზებისშესახებ.თუშეტყობინებისგამგზავნიმხარეარმიიღებსმეორემხარისაგანწერილობითპასუხს, იგი თავისიშეხედულებისამებრ,მიზანშეწონილობისა დაშესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრივალდებულებებისშესრულებასდაცდილობსგამონახოსვალდებულებებისშესრულებისისეთიალტერნატიული ხერხები,რომლებიცდამოუკიდებელიიქნებიანფორს-მაჟორულიგარემოებებისზეგავლენისაგან.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობასა და წუნდების მიზეზების მითითებით.

14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელსეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შპს„წალკაგაზი"	**შპს„ბი ემ სი"**
ქ. წალკა ხრამჰესის ქ.№8	თბილისისამტრედიის ქ ქ№50,ბ№68
ს/კ 243126443	ს/კ 402015378
ა/ა GE69BG0000000268103300	ა/ა GE66TB7336936080100006
ს/ს საქართველოს ბანკი	ს/ს თიბისიბანკის
ბ/კ BAGAG22	BGE22
დირექტორი: ვ.ბექაური	დირექტორი:
(ხელმოწერა)----------	(ხელმოწერა)----------